ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი **23.06.2023.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, კახა თედორაძე და ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** და აღნიშნა, რომ 15 ივნისის ბიუროს სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. იმისათვის, რომ ხელი არ შეეშალოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დროულად შესყიდვას აუცილებელია საკითხი დამტკიცდეს 27 ივნისის საკრებულოს სხდომაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოწვეულ იქნა საკრებულოს რიგგარეშე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3-ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათ.ლარი. მიმდინარე წლის გაფორმებულ N156 ხელშეკრულების თანახმად მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათ ლარი, აქედან 2 ერთეული ავტობუსის შეძენას თანხით 687.0 ათ.ლარი დაფინანსდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით 1030.5 ათ.ლარი განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40%-ი 412.2 ათ.ლარი ავანსის სახით მიმიდნარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 63.0 ათ.ლარით, ხოლო დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს სხვა შემოსავლები 63.0 ათ.ლარით სანებართვო მოსაკრებლის გეგმის ზრდის ხარზე.

როლანდ ლაშხიამ ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროსთან და შეთანხმების შემთხვევაში ცვლილებები ასახული იქნება დაზუსტებულ განმარტებით ბარათში.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ 15 ივნისის ბიუროს სხდომაზე მან დასვა საკითხი გრიგოლეთის სანაპირო ზოლის ქვიშაში მაგნიტის შემცველობის სრულყოფილად შესწავლასთან დაკავშირებით 20000 ლარის გამოყოფის თაობაზე და შეკითხვით მიმართა როლანდ ლაშხიას თუ რა პროცესში იყო აღნიშნული საკითხი, რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა ფინანსთა სამინისტროსთან.

ჯუმბერ ბლაგიძემ მოითხოვა რეაგირება წინა კომისიის სხდომაზე დასმულ საკითხებზე, რომელიც ეხებოდა სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის გაზრდასა და საწვავის გამოყოფას რიგით დეპუტატებზე.

გიორგი გოგუაძემ უკმაყოფილება გამოთქვა, იმის თაობაზე, რომ შუხუთის საჯარო სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, შესაბამისად ბიუჯეტიდან დაიხარჯა გარკვეული თანხა და სკოლა მაინც არ ფუნქციონირებს.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

23.06.2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

2023 წლის 23 ივნისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.06.2023 წელი
12:20 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	12 20	
2	ია მოქია	12 20	
3	გიორგი ჩახვაძე	12 20	
4	სპარტაკ კვაჭაძე	12 20	
5	კახა თედორაძე	12 20	
6	ვლადიმერ ნანაძე	12 20	
7	გიორგი გოგუაძე	12 20	
8	ვერიკო კვირკველია	არ გამოცხადდა	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	12 20	